



- კიდურების ან ორგანოების დაკარგვა ნიშნავს კიდურის ან ორგანოს ფუნქციის სრულ, მუდმივ მოშლას, ან მათ ფიზიკურ დაკარგვას.

**მუდმივი ნაწილობრივი შრომისუნარობა**

თავი:	
თავის ქალას ძვლოვანი ქსოვილის დეფექტი:	
6 სმ2-ზე მეტი ზომით	40%
ზომით 3-6 სმ2	20%
3 სმ2-ზე ნაკლები ზომით	10%
ნახევარი ქვედა ან ზედა ყბის დაკარგვა	40%
მხედველობის დაკარგვა ერთ თვალში	50%
ერთ ყურში სმენის დაკარგვა, ტრავმის შედეგად	30%

ზედა კიდურები	მარჯვენა	მარცხენა
ერთი მკლავის/მტევნის დაკარგვა	70%	60%
კანკუნთის ნერვის სრული დაზიანება	20%	15%
მხრის სახსრის ანკილოზი	40%	30%
იდაყვის სახსრის ანკილოზი		
- ხელსაყრელ პოზიციაში (150 ფარგლებში)	25%	20%
- არახელსაყრელ პოზიციაში	40%	35%
შუამდებარე ნერვის სრული დაზიანება	45%	35%
სხივის ნერვის სრული დაზიანება მხრის წნულში	40%	30%
სხივის ნერვის წინამხრის ნაწილის სრული დაზიანება	30%	25%
სხივის ნერვის მტევნის ნაწილის სრული დაზიანება	20%	15%
იდაყვის ნერვის სრული დაზიანება	30%	25%
მაჯის სახსრის ანკილოზი ხელსაყრელ პოზიციაში (სწორ და პრონაციოს პოზიციაში)	20%	15%
მაჯის სახსრის ანკილოზი არახელსაყრელ პოზიციაში (მოხრილ ან სუპინაციოს პოზიციაში)	30%	25%
ცერა თითის დაკარგვა	20%	15%
ცერა თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	10%	5%
ცერა თითის სრული ანკილოზი	15%	10%
საჩვენებელი თითის დაკარგვა	15%	10%
საჩვენებელი თითის ორი ფალანგის დაკარგვა	10%	8%
საჩვენებელი თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	5%	3%
შუათითის დაკარგვა	10%	8%
ნებისმიერი სხვა თითის დაკარგვა	7%	3%
ნებისმიერი სხვა თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	3%	1%

- თუ დაზღვეული არის ცაცია და ამის შესახებ მან აღნიშნა განაცხადში, ამ შემთხვევაში პროცენტები, რომლებიც შეესაბამება მარჯვენა და მარცხენა ზედა კიდურების დაზიანებას/დაკარგვას იქნება შენაცვლებული.

ქვედა კიდურები	
ერთი ფეხის დაკარგვა ბარძაყის ქვედა ორი მესამედის ზევით	70%
ერთი ფეხის დაკარგვა ბარძაყის ზედა მესამედის ქვემოთ	60%
ერთი ტერფის დაკარგვა	45%
ბარძაყის ნერვის სრული დაზიანება	60%
დიდი წვივის ნერვის ან მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	30%
დიდი წვივის ნერვის და მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	50%
მენჯ-ბარძაყის სახსრის ანკილოზი	40%
მუხლის სახსრის ანკილოზი	20%
კვირისტავის ძვლოვანი ქსოვილის დაზიანება, შეზღუდული მოძრაობით მუხლის სახსარში	40%
კვირისტავის ძვლოვანი ქსოვილის დაზიანება, შენარჩუნებული მოძრაობით მუხლის სახსარში	20%
ქვედა კიდურის დამოკლება 5 სმ-ით და მეტი	30%
ქვედა კიდურის დამოკლება 3-5 სმ-ით	20%

ქვედა კიდურის დამოკლება 1-3 სმ-ით	10%
დიდი თითის დაკარგვა	10%
ნებისმიერი სხვა თითის დაკარგვა	3%
ნებისმიერი სხვა თითის ფრჩხილის ფალანგის დაკარგვა	1%

- კიდურების ან ორგანოების დაკარგვა ნიშნავს კიდურის ან ორგანოს ფუნქციის სრულ, მუდმივ მოშლას, ან მათ ფიზიკურ დაკარგვას.
- ერთდროულად, ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად რამოდენიმე ორგანოს/კიდურის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლისას, უპირველესად ანაზღაურდება მიმდინარე სადაზღვევო თანხის უდიდესი პროცენტული წილის შესაბამისი თანხა. სხვა ორგანოს/კიდურის დაკარგვასთან დაკავშირებული ანაზღაურება გამოითვლება დარჩენილი თანხიდან (სადაზღვევო ლიმიტი პიროვნებაზე გამოკლებული ეს ანაზღაურებული უდიდესი თანხა);
- წვეილი ორგანოების/კიდურების დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი პროცენტული წილების შეკრება და სრული ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს პიროვნებაზე ასანაზღაურებელი თანხის ჯამურ პროცენტულ წილს;
- ერთ კაცზე გაცემული მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო ლიმიტს პიროვნებაზე. თუ პროცენტული ჯამი არის სადაზღვევო თანხის 100%-ზე მეტი, მზღვეველი აანაზღაურებს სადაზღვევო ლიმიტის 100%.
- ანაზღაურების მთლიანი თანხა ამ პოლისის მიხედვით ლიმიტირებულია პოლისში აღნიშნული სადაზღვევო თანხით, დანაკარგების რაოდენობის და თანხის მიუხედავად.
- ჰოსპიტალური მკურნალობის დროს, საწოლ დღეთა ლიმიტი შეადგენს 360 დღეს, ხოლო მაქსიმალური თანხა თითო საწოლ დღეზე – 100 ლარის, მაგრამ არა უმეტეს პოლისში მითითებული ლიმიტისა;
- თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდება/გარდაიცვლება ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი გადააჭარბებს პოლისის ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

**3. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დროს**

- 3.1. აგტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას, აუცილებლად გვაცნობოთ შემთხვევის შესახებ ჩვენს ცხელ ხაზზე: +995 32 2 505 111.
- 3.2. დაზღვეული ვალდებულია რაც შეიძლება უმოკლეს დროში მიმართოს კვალიფიციურ ექიმს;
- 3.3. ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ და დაზღვეულის დაშავების მოკლე აღწერა უნდა გაეგზავნოს მზღვეველს უბედური შემთხვევის მომენტიდან 48 საათის განმავლობაში მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0171, მ. კოსტავას გამზ. №67;
- 3.4. დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია შეავსოს მზღვეველის მიერ მისთვის მიწოდებული ფორმა "პრეტენზია ანაზღაურებაზე" და პრაქტიკულად შესაძლებელ მოკლე ვადაში სადაზღვევო პოლისთან და სხვა საჭირო საბუთებთან ერთად წარუდგინოს ის მზღვეველს.
- 3.5. თუ შესაძლებელია, რომ უბედურ შემთხვევას შედეგად მოყვეს დროებითი შრომისუუნარობა ან სტაციონარში მკურნალობა, დაზღვეულმა/დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა სტაციონარში განთავსებიდან. თუ დაზღვეულმა/დამზღვევმა ვერ შეასრულა ეს ვალდებულება, ის კარგავს სადაზღვევო პირობების ამ სექციებით განსაზღვრულ ყველა სარგებელს, ხოლო მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისგან გადაიხადოს ანაზღაურება დროებითი შრომისუუნარობის/სტაციონარში მკურნალობის დღიური ანაზღაურების მიხედვით.
- 3.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადასაწყვეტად, მკურნალობის დამთავრებიდან/მუდმივი შრომისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო კვირისა, ანაზღაურებაზე პრეტენზიასთან ერთად, მზღვეველს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:
  - სამედიცინო ექსპერტის გადაწყვეტილება დროებითი სრული/მუდმივი სრული/ნაწილობრივი შრომისუუნარობის დადგომის შესახებ;
  - ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
  - სამგზავრო ბილეთის ორიგინალი;
  - დაზღვეულის პირადობის მოწმობა (გარდა დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევისა);
  - დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მზღვეველისათვის შეტყობინების დროულად გაგზავნის ფაქტს;
  - ცნობა გარდაცვალების შესახებ, სამედიცინო დასკვნა გარდაცვალების შესახებ და მოსარგებლის პირადობის მოწმობა (დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში).
- 3.7. მას შემდეგ რაც მზღვეველის მიერ აღიარებულ იქნება სადაზღვევო შემთხვევა, სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად მას კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა წარუდგინოს მექვიდრობის უფლების მოწმობის ორიგინალი და მექვიდრობის პირადობის მოწმობა.

- 3.8. დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით ანაზღაურებაზე პრეტენზიის შემთხვევაში, გარდაცვლილი დაზღვეულის სხეული უნდა იყოს ამოცნობილი. დაზღვეულის გაუჩინარების შემთხვევა არ განიხილება გარდაცვალებად უბედური შემთხვევის შედეგად.
- 3.9. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა საჭირო საბუთები, წინააღმდეგ შემთხვევაში "მზღვეველი" იტოვებს უფლებას უარი თქვას აღნიშნული პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
- 3.10. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი თვლის, რომ საჭიროა გარდაცვალების მიზეზის ან შრომისუუნარობის ხარისხის დაზუსტება, მის მიერ მოთხოვნილ ექიმ-ექსპერტს ნება უნდა დაერთოს ჩაუტაროს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევა, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში ჩატარდეს პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევა. ნებისმიერ შემთხვევაში დამადასტურებელ საბუთებს სამედიცინო ცნობების, ანკეტების, დეკლარაციების, ან სხვა სახით, მზღვეველის მოთხოვნისამებრ დაზღვეული/მოსარგებლემ/კანონიერი მემკვიდრე წარმოადგენს საკუთარი ხარჯებით.

#### 4. სადაზღვევო ანაზღაურება

- 4.1. წინამდებარე პოლისის მიხედვით, ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს:
- ერთ ფიზიკურ პირზე, ერთი მიმართულების შემთხვევაში ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 5'000 (ხუთი ათასი) ლარს.
  - ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე, ერთი მიმართულების შემთხვევაში ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 100'000 (ასი ათასი) ლარს.
  - სტაციონარში განთავსების დღიური ანაზღაურების შემთხვევაში – სტაციონარში გატარებული დღეების რაოდენობა გამრავლებული დღეში ასანაზღაურებელი თანხის ლიმიტზე (100 ლარი), როგორც ეს განსაზღვრულია პოლისში, მაგრამ არაუმეტეს 180 დღის/სტაციონარში განთავსების წლიური სადაზღვევო ლიმიტისა. სტაციონარში გატარებული დღეების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს არსებული დიაგნოზისათვის არსებულ სახელმწიფო სტანდარტებს;
  - დაზღვეულის მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობის შემთხვევაში 6 თვის მოცდის პერიოდის შემდეგ - პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის გარკვეული პროცენტული წილი, როგორც ეს განსაზღვრულია კომპენსაციის გეგმაში ტრავმის სიმძიმის მიხედვით;
  - დაზღვეულის მუდმივი სრული შრომისუუნარობის შემთხვევაში, 6 თვის მოცდის პერიოდის შემდეგ - პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის (5'000 ლარი) 100%;
  - დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში – პიროვნებაზე სადაზღვევო ლიმიტის (5'000 ლარი) 100%.
- 4.2. წერილობითი განცხადებისა და ჩამოთვლილი საბუთების წარდგენისას, მზღვეველი გასცემს ანაზღაურებას ლარში უნაღლო ანგარიშსწორების გზით.
- 4.3. მოსარგებლის დაზღვეულზე ადრე გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადაეცემა მოსარგებლის მემკვიდრეებს, თუ დაზღვეულმა სხვა მოსარგებლემ არ დანიშნა.
- 4.4. დროებითი შრომისუუნარობის/სტაციონარში განთავსების წინასწარი ანაზღაურების შემთხვევაში, შემდგომში იგივე უბედური შემთხვევით გამოწვეული მუდმივი ნაწილობრივი ან სრული შრომისუუნარობის ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლისას, 100%-ად ითვლება სადაზღვევო შემთხვევისათვის პიროვნებაზე არსებული სადაზღვევო ლიმიტი, მაგრამ ამ ასანაზღაურებელ თანხიდან გამოიქვეთება სტაციონარში განთავსებისას უკვე გადახდილი თანხა.
- 4.5. ამ პოლისის ფარგლებში სრული ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობის, სიდიდისა და დაზღვეულის მემკვიდრეების რაოდენობის მიუხედავად, არ აღემატება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის 100%-ს.
- 4.6. ანაზღაურების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს სამედიცინო და სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტები. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლოა, დაენიშნოს ექიმი/ექსპერტი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

#### 5. საერთო გამონაკლისები.

- 5.1. ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს ნებისმიერ შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
  - ზარალი გამოწვეულია ავტობუსის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;
  - იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით, ატომური/ბირთვული ნივთიერებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახის ნივთიერების ტრანსპორტირებით;
  - ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით, შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებით, სამოქალაქო მღელვარებით, რაც საერთო სახალხო არეულობად იქცევა, სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ), უზურპირებული ხელისუფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი).
  - თქვენს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი პასუხისმგებლობა მაინც იგულისხმებოდა უხელშეკრულებოდ;
  - უბედურ შემთხვევამდე არსებულ ფიზიკურ ნაკლებს, ანომალიებს ან დაავადებებს;

- სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე მომხდარ უბედურ შემთხვევებს;
- 5.2. ეს დაზღვევა არ ფარავს გარდაცვალებას ან შრომისუუნარობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ან პროვოცირებული იქნა ან შედეგად მოჰყვა:
- ჩატარებულ ან მიმდინარე მკურნალობას ან ჩარევებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი ჩარევა ან მკურნალობა (რადიოდიანოზტიკისა და რადიოთერაპიის ჩათვლით) აუცილებელია უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც წინამდებარე დაზღვევით იფარება;
  - ინფექციებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ უბედური შემთხვევის დროს, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება, მომხდარი დაზიანების შედეგად დაზღვეულის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა;
  - კანის ან ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებები, რომელთა შედეგადაც დაზღვეულის ორგანიზმში მაშინვე ან მოგვიანებით ინფექცია შეიჭრა, არ ჩაითვლება უბედური შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებად, გარდა ცოფისა და ტეტანუსისა;
  - მოწამვლას, რომელიც მოყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან არათხევადი ნივთიერების მიღებას;
  - აბდომინალურ ან საზარდულის თიაქარს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი დაზიანება შედეგად მოყვა ძლიერ გარე ძეგავლენას, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება;
  - მალთაშორისი დისკების დაზიანებას, სისხლდენას შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევას, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება თუ წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევა წარმოადგენს ზემოაღნიშნულის პირველად მიზეზს;
  - ორსულობას ან მშობიარობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობა უბედური შემთხვევით იქნება დაჩქარებული;
  - გონებრივ, ფსიქიურ ან ფსიქოსომატურ დარღვევებს (დროებითს ან სხვას);
  - განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებულ გაუფრთხილებლობას (თუ ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არ ხდება);
  - დაზღვეულის თვითმკვლელობას ან ამგვარის მცდელობას, შეგნებულ თვითდაშავებას;
  - დაზღვეულის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან მისი ჩადენის მცდელობას;
  - ბირთვული ენერგიით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება), ნებისმიერ დაზიანებას ან დაავადებას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიურ დაბინძურებას;
  - ომს, ინტერვენციას, მტრის მოქმედებებს, საომარ მოქმედებებს (განურჩევლად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომს, აჯანყებას, ნაციონალიზაციას ან კონფისკაციას ნებისმიერი მთავრობის ან მისი დავალებით ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ, ან ნებისმიერი პირების, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში და რომელთა საქმიანობაც მიმართულია დე ფაქტო თუ დე ჯურე მთავრობის გადადგომაზე ან მის ზეგავლენაზე ტერორიზმის თუ ძალადობის მეშვეობით;
  - ნებისმიერ ტერორისტულ აქტს;
  - სანაძღვოს, აკრობატულ ოინებს, სპორტული რეკორდის დამყარებას ან მის მცდელობას და მისთვის მზადებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
  - სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაში დაინტერესებული პირის (მოსარგებლის, მემკვიდრის) მიერ, დაზღვეულის წინასწარ განზრახულ მკვლელობას ან მის მონაწილეობას მკვლელობის ორგანიზებაში;

## 6. მხარეთა მოვალეობანი

- 6.1. **თქვენი მოვალეობანი.** იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ რაიმე სახის პრობლემა (ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის ჩათვლით) ან დაგვიანება თანხის ანაზღაურების პროცესში, აუცილებლად უნდა შეასრულოთ რამდენიმე პირობა, კერძოდ:
- დაუყოვნებლივ შეატყობინეთ საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
  - დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ ჩვენს ცხელ ხაზზე (+995 32 2 505-111) და მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
  - არასდროს აიღოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პაუსისსმგებლობა თქვენს თავზე ჩვენთან შეთანხმების გარეშე;
  - ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მოგვაწოდოთ ცნობები/დოკუმენტები ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლებამოსილი ვართ, უარი განვაცხადოთ ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;
- 6.2. **ჩვენი მოვალეობანი.** ჩვენ გვაქვს უფლება:
- თქვენი სახელით წარემართოთ და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების პროცესი;
  - თქვენი სახელით და ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით შევეცადოთ, ამოვიღოთ ზარალი მესამე მხარიდან;
  - ჩვენ გავაკონტროლებთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ იურიდიულ პროცესს;
  - ანაზღაურების გაცემა მოხდება ჩვენს მიერ სარჩელის აღიარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

7. **გაყალბება.** თუ თქვენ ან რომელიმე სხვა დაზღვეული პირი რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სარჩელი, ამ ხელშეკრულებით მისაღები სარგებელი გაუქმდება. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც თქვენ შეგნებულად ზრდით ზარალის თანხას ან გვაწოდებთ ყალბ დოკუმენტაციას;
8. **ორმაგი დაზღვევა.** თუკი ამ პოლისით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, თქვენ მიიღებთ კუთვნილ ანაზღაურებას, ხოლო შემდგომში ჩვენ მოვითხოვთ სხვა სადაზღვევო კომპანიიდან;